

წაკითხულის გააზრება და ანალიტიკური წერა

დღეს გამოცდა ჩატარდება წაკითხულის გააზრებასა და ანალიტიკურ წერაში.

1. წაკითხულის გააზრების ნაწილი შედგება სამი ტექსტისა და 21 ტესტური დავალებისაგან.
ტესტის ამ ნაწილის მაქსიმალური ქულაა 21.

სწორი პასუხის გაცემისათვის იწერება 1 ქულა.

თუ არცერთი პასუხი არ არის მონიშნული, იწერება 0 ქულა.

არასწორი პასუხისათვის აკლდება 0,2 ქულა (ანუ იწერება -0,2 ქულა).

ტესტის ამ ნაწილის შესასრულებლად გეძლევათ 1 საათი და 15 წუთი.

2. ანალიტიკური წერის ნაწილი შედგება ორი დავალებისაგან:
ტესტის ამ ნაწილის მაქსიმალური ქულაა 20.
თითოეული დავალების მაქსიმალური ქულაა 10.
ტესტის ამ ნაწილის შესასრულებლად გეძლევათ 1 საათი და 10 წუთი.

გისურვებთ წარმატებას!

წაკითხულის გააზრება

B ტიპის ტესტი

21 შეკითხვა

დრო – 1 სთ 15 წთ

ტექსტი A

ენის წარმოშობის მიმართ განსაკუთრებული ინტერესი გამოწვეულია ხშირად გამოთქმული აზრით, რომ სწორედ ენა განასხვავებს ადამიანსა და ცხოველს ერთმანეთისაგან. ამდენად, ენის წარმოშობის კვლევა სინამდვილეში ადამიანის რაობის შესწავლის ნაწილია და საკუთარი თავის უკეთ შეცნობას ემსახურება. ასეთი მაღალი ინტერესისა და ენის წარმოშობის შესახებ მრავალი თეორიის არსებობის მიუხედავად, ენის წარმოშობის საკითხი დღესაც ცალსახად გარკვეული არ არის.

თეორიები, რომელთა მიხედვით ენა ადამიანის შექმნილია, ორ ჯგუფად იყოფა. პირველი ჯგუფი აერთიანებს **ბიოლოგიურ თეორიებს**, რომლებიც ენის წარმოშობას, უმთავრესად, ადამიანის ბიოლოგიურ თუ ფიზიოლოგიურ შესაძლებლობებსა და უნარებს უკავშირებს, მეორე ჯგუფი კი – **სოციალურ თეორიებს**, რომლებიც, ბიოლოგიურ ფაქტორებთან ერთად, ყურადღებას ამახვილებს სოციალური გარემოს მნიშვნელობაზე.

ბიოლოგიური თეორიები ენის წარმოშობას ადამიანის ორგანიზმის ევოლუციურ განვითარებას უკავშირებს. ამ თეორიების მიმდევრები უშვებენ წინარე, „უენო“ ადამიანის არსებობას, რომელმაც, გარკვეული ფაქტორების ზეგავლენის შედეგად, საარტიკულაციო აპარატისა და გონების განვითარების კვალდაკვალ, მეტყველების უნარი შეიძინა. ამ თეორიათა მიხედვით, ენები ბუნებრიობიდან სიმბოლურისაკენ ვითარდება.

ხმაბაძვითი თეორიის მიხედვით, პირველყოფილი ადამიანი ბაძავდა მის გარშემო არსებული ცხოველებისა და ბუნების მოვლენების ხმებს. დროთა განმავლობაში, ხშირი გამეორების შედეგად, ამ წამოძახილებმა თანდათან დაკარგა ბუნებრიობა; ისინი სიტყვებად, ანუ საგნისა თუ მოვლენის აღმნიშვნელად იქცა, სიმბოლური დატვირთვა შეიძინა. **შორისდებულთა თეორიის** მიხედვით, პირველი სიტყვები ადამიანების ემოციური ამოძახილებიდან განვითარდა. პირველი ადამიანები ერთსა და იმავე ამოძახილს მსგავს ვითარებაში და მსგავსი ემოციის გამოსახატავად იყენებდნენ, ამიტომ მათ არ გაუჭირდათ ამ ამოძახილების – „სიტყვების“ – არც დამახსოვრება და არც კონკრეტულ შინაარსთან დაკავშირება. ასე ნელ-ნელა ვითარდებოდა მეტყველება და, საბოლოო ჯამში, ყალიბდებოდა ენაც.

ტექსტის გაგრძელება ->

ტექსტი A	შეკითხვა 1	შეკითხვა 2	შეკითხვა 3	შეკითხვა 4	შეკითხვა 5	შეკითხვა 6	შეკითხვა 7	შეკითხვა 8
----------	------------	------------	------------	------------	------------	------------	------------	------------

ქესტების ენის თეორიის მიხედვით, ბგერითი ენა შეიქმნა ადამიანთა ქესტური ენიდან. პირველი ადამიანები ერთმანეთს ქესტების საშუალებით გარკვეულ ინფორმაციას გადასცემდნენ, სასურველი ქცევისაკენ უბიძგებდნენ. ქესტები საერთო იყო ჯგუფის წევრებისათვის და მოქმედებასთან ბუნებრივად იყო დაკავშირებული. ხშირად გამოიყენებულ ამ თუ იმ ქესტს თან სდევდა გარკვეული, ხშირად ემოციური წამოძახილი. დროთა განმავლობაში ამ წამოძახილებმა ჩაანაცვლა ქესტები და იქცა ერთგვარ მოწოდებად კონკრეტული ქცევის შესასრულებლად. ქესტებთან შედარებით წამოძახილების უპირატესობა აშკარა იყო, რადგან აღარ იყო აუცილებელი ვიზუალური კონტაქტი, შესაძლებელი გახდა ინფორმაციის შორ მანძილზე გადაცემა, გაიოლდა ინფორმაციის მიწოდება ერთდროულად ბევრი ინდივიდისათვის და ა. შ. ამ უპირატესობებმა განაპირობა ის, რომ ბგერითმა ენამ ჩაანაცვლა ქესტური ენა.

ვუნდტის აზრით, ენის პირველ სიტყვებს საფუძვლად დაედო ქესტურ მოძრაობებს თანდართული ინსტინქტური ამოძახილები. ეს იყო უნებლიე ემოციური ამოძახილები, თუმცა მათ ხმაბადვითი ხასიათიც შეიძლება ჰქონოდა. თავის მხრივ, პირველი სიტყვები, უმეტესწილად, პრედიკატული ხასიათის იყო, ანუ ადამიანის გარშემო არსებული ობიექტებისა და პროცესების თვისებებს აღნიშნავდა.

ზემოთ წარმოდგენილი ბიოლოგიური თეორიებისაგან განსხვავებით, **ჰერდერმა** ენა ადამიანის გონების თავისუფალ არჩევანს დაუკავშირა. მისი აზრით, „ცხოველთა უნარები და ინსტინქტები, ძალისა და ინტენსივობის მხრივ, უკუპროპორციული იყო მათი სამოქმედო წრის მიმართ“. ადამიანის სამოქმედო წრე ფართოა. ის არ ვითარდებოდა ერთი რომელიმე მიმართულებით, როგორც ცხოველი, რომელიც მხოლოდ ინსტინქტების „დაოსტატებით“ ეგუებოდა გარემოს. მაგალითად, ობობა დაოსტატებულია ქსელის ხლართვაში, ფუტკარი – ფიჭის აშენებაში და ა. შ. ფართო სამოქმედო წრისა და სუსტი ინსტინქტების ფონზე ადამიანს უწევდა სამყაროს მთელი მრავალფეროვნების აღქმა და მასთან ადაპტაცია. სწორედ ამან შექმნა ენის წარმოშობის საფუძველი.

სოციალური შეთანხმების თეორიის მიხედვით, სამყაროსთან უკეთესი ადაპტაციისთვის ადამიანები იძულებულნი იყვნენ დიდ ჯგუფებად გაერთიანებულიყვნენ, გაერთიანება კი გულისხმობდა გარკვეულ სოციალურ შეთანხმებებს, ჯგუფში როლების გადანაწილებას. ამან, თავის მხრივ, საგნებისა და მოვლენების სახელდების საჭიროება შექმნა.

შრომითი შეძახილების თეორიაში კატალიზატორად სოციალური მომენტი, ერთობლივი შრომაა წარმოდგენილი. ამ თეორიის მიხედვით, ენა კოლექტიური შრომის თანმდევი შეძახილებისგან შეიქმნა. შეძახილები, ძირითადად, შრომის რიტმის შენარჩუნებას ემსახურებოდა, განსხვავებით შორისდებულთა თეორიისაგან, რომლის მიხედვითაც ისინი, როგორც წესი, ცალკეული ადამიანის ემოციებს გამოხატავდა.

ტექსტი A	შეკითხვა 1	შეკითხვა 2	შეკითხვა 3	შეკითხვა 4	შეკითხვა 5	შეკითხვა 6	შეკითხვა 7	შეკითხვა 8
----------	------------	------------	------------	------------	------------	------------	------------	------------

1. რა არის ავტორის ძირითადი მიზანი?

- (ა) ხაზი გაუსვას ბიოლოგიური და სოციალური ფაქტორების მნიშვნელობას ენის წარმოშობაში.
- (ბ) წარმოაჩინოს საკუთარი პოზიცია ენის წარმოშობასთან დაკავშირებით.
- (გ) გაგვაცნოს ენის წარმოშობის საკითხი სხვადასხვა თეორიის მიმოხილვის ფონზე.
- (დ) წარმოაჩინოს ენის წარმოშობის ბიოლოგიური თეორიების უპირატესობა სოციალურ თეორიებთან შედარებით.
- (ე) ხაზი გაუსვას ენის წარმოშობის კვლევის მნიშვნელობას ადამიანის რაობის შესწავლაში.

ტექსტი A	შეკითხვა 1	შეკითხვა 2	შეკითხვა 3	შეკითხვა 4	შეკითხვა 5	შეკითხვა 6	შეკითხვა 7	შეკითხვა 8
----------	------------	------------	------------	------------	------------	------------	------------	------------

2. რომელი თეორიის გასამყარებლად გამოდგება ქართულ ენაში არსებული შემდეგი სიტყვები: ჩუხჩუხი, რაკრაკი, გუგული, კაკაბი და მისთ.?

- I. ხმაბაძვითი თეორიის
- II. შორისდებულების თეორიის
- III. ჟესტების ენის თეორიის
- IV. შრომითი შეძახილების თეორიის

ჩამოთვლილთაგან მართებულია:

- (ა) მხოლოდ I
- (ბ) მხოლოდ I და II
- (გ) მხოლოდ II და III
- (დ) მხოლოდ IV
- (ე) მხოლოდ III და IV

3. რა განასხვავებს ჟესტების ენის თეორიას ტექსტში განხილული სხვა ბიოლოგიური თეორიებისაგან?

- (ა) ჟესტების ენის თეორია გულისხმობს წინარე „უნო“ ადამიანის არსებობას.
- (ბ) ჟესტების ენის თეორიაში წარმოჩენილია პირველი სიტყვების განვითარების გზა ბუნებრივიდან სიმბოლურამდე.
- (გ) ჟესტების ენის თეორიაში აღწერილია ის ფაქტორები, რომლებმაც შესაძლებელი გახადა ენის წარმოშობა.
- (დ) ჟესტების ენის თეორია ენის წარმოშობას ადამიანის ევოლუციურ განვითარებას უკავშირებს.
- (ე) ჟესტების თეორია ყველაზე მეტად ამახვილებს ყურადღებას ენის საკომუნიკაციო ფუნქციაზე.

ტექსტი A	შეკითხვა 1	შეკითხვა 2	შეკითხვა 3	შეკითხვა 4	შეკითხვა 5	შეკითხვა 6	შეკითხვა 7	შეკითხვა 8
----------	------------	------------	------------	------------	------------	------------	------------	------------

4. ჩამოთვლილთაგან რომელია მართებული?

ვუნდტი:

- (ა) არ გამორიცხავს, რომ ჟესტურ მოძრაობებს თანდართული ამოძახილები ბუნების ხმების მიზაძვას წარმოადგენდა.
- (ბ) არ იზიარებს მოსაზრებას, რომ პირველი ბგერები ემოციებს გამოხატავდა.
- (გ) მიიჩნევს, რომ ემოციების გამოსახატავად ინსტინქტურ ამოძახილებს დროთა განმავლობაში ჟესტური მოძრაობებიც დაემატა.
- (დ) მიიჩნევს, რომ პირველი სიტყვები ადამიანის გარშემო არსებულ ობიექტებს აღნიშნავდა.
- (ე) მიიჩნევს, რომ ენის წარმოშობის ახსნა შეუძლებელია ინსტინქტით განპირობებული ქცევის საფუძველზე.

ტექსტი A	შეკითხვა 1	შეკითხვა 2	შეკითხვა 3	შეკითხვა 4	შეკითხვა 5	შეკითხვა 6	შეკითხვა 7	შეკითხვა 8
----------	------------	------------	------------	------------	------------	------------	------------	------------

5. ქესტებთან შედარებით წამომახილების უპირატესობა აშკარა იყო, რადგან ბგერითი ენით უკეთ გახდა შესაძლებელი –

- I. ინფორმაციის შორ მანძილზე გადაცემა
- II. ინფორმაციის მიწოდება ერთდროულად ბევრი ინდივიდისათვის
- III. მოწოდება გარკვეული ქცევის შესასრულებლად

ჩამოთვლილთაგან მართებულია:

- (ა) მხოლოდ I
- (ბ) მხოლოდ II
- (გ) მხოლოდ I და III
- (დ) მხოლოდ II და III
- (ე) I, II და III

ტექსტი A	შეკითხვა 1	შეკითხვა 2	შეკითხვა 3	შეკითხვა 4	შეკითხვა 5	შეკითხვა 6	შეკითხვა 7	შეკითხვა 8
----------	------------	------------	------------	------------	------------	------------	------------	------------

6. „ცხოველთა უნარები და ინსტიქტები, ძალისა და ინტენსივობის მხრივ, უკუპროპორციული იყო მათი სამოქმედო წრის მიმართ“.

ჩამოთვლილთაგან რომელი გამოხატავს სწორად ტექსტიდან მოყვანილი ფრაზის აზრს?

- (ა) ინსტიქტით განპირობებული ქცევა ცხოველებს თავის სამოქმედო წრესთან შეგუების შესაძლებლობას აძლევდა.
- (ბ) ძლიერი ინსტიქტების ფონზე ცხოველებს ვიწრო სამოქმედო წრესთან შეგუება უჭირდათ.
- (გ) ცხოველების სამოქმედო წრე საკმაოდ შეზღუდული, ხოლო ინსტიქტები საკმაოდ სუსტი იყო.
- (დ) რაც უფრო ვიწროა ცხოველთა სამოქმედო წრე, მით უფრო განვითარებულია მათი უნარები და ინსტიქტები.
- (ე) ცხოველს სუსტი ინსტიქტები მხოლოდ ვიწრო სამოქმედო წრის აღქმის შესაძლებლობას აძლევდა.

ტექსტი A	შეკითხვა 1	შეკითხვა 2	შეკითხვა 3	შეკითხვა 4	შეკითხვა 5	შეკითხვა 6	შეკითხვა 7	შეკითხვა 8
----------	------------	------------	------------	------------	------------	------------	------------	------------

7. ჩამოთვლილთაგან რომელი არ დასტურდება ტექსტში?

- (ა) ბიოლოგიურ თეორიებში უგულებელყოფილია ენის გამოყენება ინფორმაციის მიწოდების მიზნით, სოციალურ თეორიებში კი ხაზი ესმევა ენის საკომუნიკაციო ფუნქციას.
- (ბ) სოციალური თეორიები ყურადღებას ამახვილებს სოციუმის როლზე, თუმცა ადამიანის ბიოლოგიურ შესაძლებლობებსაც ითვალისწინებს.
- (გ) ვუნდტი ენის წარმოშობას ინსტინქტურ ქცევას უკავშირებს, ჰერდერი კი მას ადამიანის გონების თავისუფლების გამოხატულებად მიიჩნევს.
- (დ) შრომითი შემახილების თეორიაში, შორისდებულთა თეორიისაგან განსხვავებით, ენის წარმოშობა საერთო საქმიანობაში ჩართულ ჯგუფის წევრთა შემახილებთანაა დაკავშირებული.
- (ე) სოციალური თეორიები ხაზს უსვამს ადამიანთა ჯგუფური ცხოვრების წესის როლს ენის წარმოშობაში.

ტექსტი A	შეკითხვა 1	შეკითხვა 2	შეკითხვა 3	შეკითხვა 4	შეკითხვა 5	შეკითხვა 6	შეკითხვა 7	შეკითხვა 8
----------	------------	------------	------------	------------	------------	------------	------------	------------

8. ტექსტის მიხედვით, რატომ უადვილდებოდათ ადამიანებს პირველი „სიტყვების“ დამახსოვრება?

იმიტომ, რომ

- I. ამოძახილებმა, რიგი უპირატესობების გამო, დროთა განმავლობაში ჩაანაცვლა ჟესტური ენა.
- II. ადამიანები მსგავს ვითარებაში ერთსა და იმავე ემოციურ ამოძახილს იყენებდნენ.
- III. ჟესტებმა და ამოძახილებმა იმთავითვე შეიძინა სიმბოლური დატვირთვა.

ჩამოთვლილთაგან მართებულია:

- (ა) მხოლოდ I
- (ბ) მხოლოდ II
- (გ) მხოლოდ III
- (დ) მხოლოდ II და III
- (ე) I, II, III

ტექსტი A	შეკითხვა 1	შეკითხვა 2	შეკითხვა 3	შეკითხვა 4	შეკითხვა 5	შეკითხვა 6	შეკითხვა 7	შეკითხვა 8
----------	------------	------------	------------	------------	------------	------------	------------	------------

ტექსტი B

მეტყველებისაგან განსხვავებით, წერისა და კითხვის ათვისება სწავლების გარეშე პრაქტიკულად შეუძლებელია და ის, როგორც წესი, საგანგებოდ გამოყოფილ დროსა და მასწავლებელს საჭიროებს. წერითი მეტყველების ჩამოყალიბება ქცევის გარკვეული ფორმების გათავისებას გულისხმობს. ამ რთულ გზაზე კი ბავშვს რამდენიმე მნიშვნელოვანი საფეხურის გავლა უწევს.

ვიგოტსკის თანახმად, წერითი მეტყველების უნარის ჩამოყალიბება საკუთრივ წერის დაწყებამდე იწყება და ამ პროცესის პირველი ნაბიჯი პირობითი ნიშნების რაობის გათავისებასთან არის დაკავშირებული. წერის ათვისება ნიშნების, სიმბოლოების გამოყენებას გულისხმობს, როდესაც გარკვეული გამოსახულება გარკვეულ შინაარსს (საგანს, პროცესს, მოვლენას) უკავშირდება და მისი აღმნიშვნელი ხდება.

სიმბოლოს, ანუ ნიშნის იდეის გათავისებას ბავშვი თამაშის დროს იწყებს, როდესაც ის გარკვეული საგნებით სხვა საგნებს აღნიშნავს. ამდენად, თამაში არის წერის ათვისების აუცილებელი წინაპირობა. თამაშისას გამოყენებული საგნები, არსებითად, უკვე ნიშნებია, აღმნიშვნელებია, ვინაიდან ისინი სხვა საგნებს ანაცვლებს. ამასთან, საგნისა და მისი აღმნიშვნელის გარეგნულ მსგავსებას მნიშვნელობა არა აქვს, თუმცა არსებითია საგნის ფუნქციური დატვირთვა. „აღმნიშვნელი“ საგანი უნდა იძლეოდეს შესაძლებლობას, რომ მასთან იგივე ქმედებები განხორციელდეს, რაც მის აღსანიშნთან არის დაკავშირებული.

წერისაკენ გადადგმულ მომდევნო მნიშვნელოვან ნაბიჯად შეიძლება ხატვა მივიჩნიოთ. აღსანიშნავია, რომ ბავშვი თავდაპირველად მეხსიერებაზე დაყრდნობით ხატავს ისე, რომ სულაც არ უყურებს დასახატ საგანსა თუ ადამიანს. სწორედ ამიტომ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ბავშვის ნახატები უფრო „მეტყველებაა“, ვიდრე გამოსახულება. ეს უფლებას გვაძლევს, განვიხილოთ ბავშვის ხატვა, როგორც მისი წერითი მეტყველების საწყისი ეტაპი. მიჩნეულია, რომ ამ შემთხვევაში ხატვის ფსიქოლოგიური ფუნქცია არის ერთგვარი გრაფიკული მეტყველება, გრაფიკული მონათხრობი.

ტექსტის გაგრძელება ->

ტექსტი B	შეკითხვა 9	შეკითხვა 10	შეკითხვა 11	შეკითხვა 12	შეკითხვა 13	შეკითხვა 14
----------	------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------

თავდაპირველად, ხატვისას, ბავშვი სიმბოლოებითა და ნიშნებით არ ოპერირებს. მისთვის სურათი უბრალოდ ახალი საგანია, რომელსაც გარკვეული მსგავსება შეიძლება ჰქონდეს სხვა საგანთან. გარკვეულ მომენტში ბავშვი დიდ აღმოჩენას აკეთებს, როდესაც აზრს მოკლებული ჯღაბნის დროს გავლებულ ხაზებსა და საგნებს შორის მსგავსებას დაინახავს. სწორედ ამ დროს იძენს სურათი ნიშნის ფუნქციას, მაგალითად, დაჯღაბნილი სპირალი იქცევა კვამლის აღმნიშვნელ ნიშნად. საგულისხმოა, რომ ნიშნის სიმბოლიკის აღმოჩენა წინ უსწრებს საკუთრივ წერის სწავლას. სასკოლო ასაკის დადგომისათვის ბავშვი ნახატს უკვე სიმბოლოდ, ანუ სხვა საგნის აღმნიშვნელ ნიშნად აღიქვამს. ეს ის მომენტია, როდესაც ბავშვი მზადაა, ისწავლოს წერა.

გარკვეულ მომენტში ბავშვი აღმოაჩენს, რომ შესაძლებელია არა მხოლოდ ობიექტების ხატვა, არამედ „მეტყველების ჩაწერაც“, რაც წერისკენ გადადგმული თვისებრივად უმნიშვნელოვანესი ნაბიჯია.

ლურიას ექსპერიმენტებში წერა-კითხვის არმცოდნე ბავშვებს წინადადებების დამახსოვრებას სთხოვდნენ. ბავშვებს აძლევდნენ ფურცელსა და ფანქარს, რათა მათ თავისებურად „ჩაეწერათ“ ნაკარნახევი წინადადებები. აღმოჩნდა, რომ 3-4 წლის ბავშვების დაჯღაბნილ ნახატებსა და ნაკარნახევ ფრაზებს შორის კავშირი არ გამოვლინდა, თუმცა 4-5 წლის ბავშვებში შედეგი განსხვავებული იყო. ზოგმა ბავშვმა საკუთარი ნახატები მნემოტექნიკურ ნიშნებად აქცია. გავლებულ შტრიხებს შორის შეიმჩნეოდა დიფერენცირება, რაც იმაზე მიუთითებდა, რომ ბავშვები გარკვეულ მოხაზულობას გარკვეული ფრაზის გამოსახატავად და შემდგომში გასახსენებლად იყენებდნენ. ეს პროცესი მიანიშნებს, რომ ამ ასაკის ბავშვი შინაგანად უკვე მზადაა წერის ასათვისებლად და საჭიროა უშუალოდ წერის ტექნიკის დაუფლება.

ამრიგად, ხატვისას საქმე გვაქვს პირველი რიგის სიმბოლიზმთან – სურათი აღნიშნავს საგანს. წერისას კი მეორე რიგის სიმბოლიზმი ჩნდება, როდესაც ნიშანი აღნიშნავს სიტყვას, რომელიც, თავის მხრივ, აღნიშნავს საგანს. მეორე რიგის სიმბოლიზმის ჩამოყალიბება კი მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როდესაც ბავშვი „მეტყველების ხატვის“ შესაძლებლობას დაუშვებს. წერის ათვისების წინარე საფეხურები აგებულია შემდეგი თანამიმდევრობით: თამაში – ხატვა – წერა. ამ დროს ბავშვი სწავლობს სიმბოლური ნიშნებით ოპერირებასა და ამ ნიშნების მეტყველებასთან დაკავშირებას.

ტექსტი B	შეკითხვა 9	შეკითხვა 10	შეკითხვა 11	შეკითხვა 12	შეკითხვა 13	შეკითხვა 14
----------	------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------

9. რა არის ავტორის მთავარი მიზანი?

- (ა) განიხილოს წერა -კითხვის ათვისების ფსიქოლოგიური ასპექტები.
- (ბ) მიმოიხილოს წერის ათვისების წინარე საფეხურები და მათი მნიშვნელობა.
- (გ) გაგვაცნოს ვიგოტსკისა და ლურიას მოსაზრებები წერის ათვისებასთან დაკავშირებით.
- (დ) ხაზი გაუსვას ხატვის როლს წერის უნარის განვითარებისათვის.
- (ე) მიმოიხილოს უნარები, რომლებიც ვითარდება წერითი მეტყველების ათვისებისას.

ტექსტი B	შეკითხვა 9	შეკითხვა 10	შეკითხვა 11	შეკითხვა 12	შეკითხვა 13	შეკითხვა 14
----------	------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------

10. ლურჯის ექსპერიმენტი მოყვანილია იმის საჩვენებლად, რომ:

- (ა) ბავშვი მზადაა დაიწყოს წერის ათვისება, როდესაც აღმოაჩენს, რომ შესაძლებელია გარკვეული სიმბოლური ნიშნების გამოყენება მეტყველების „ჩასაწერად“.
- (ბ) წინადადებების დასამახსოვრებლად ნახატების გამოყენება წერის ტექნიკის ათვისების საუკეთესო საშუალებაა.
- (გ) სიმბოლო, რომელიც ობიექტის აღსანიშნად გამოიყენება, არ ჰგავს ობიექტს, რომელსაც ის აღნიშნავს.
- (დ) ხატვის დაწყებისთანავე ბავშვი სიმბოლოებითა და ნიშნებით ოპერირებს.
- (ე) ბავშვი 3-4 წლის ასაკში უკვე მზადაა, დაიწყოს საკუთრივ წერის ათვისება.

ტექსტი B	შეკითხვა 9	შეკითხვა 10	შეკითხვა 11	შეკითხვა 12	შეკითხვა 13	შეკითხვა 14
----------	------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------

11. სახლობანას თამაშისას ნებისმიერმა საგანმა შეიძლება ჩაანაცვლოს „შვილი“, ანუ გახდეს მისი ნიშანი. „შვილის“ აღმნიშვნელი საგანი ისეთი უნდა იყოს, რომ შეიძლებოდეს მისი „ხელით ტარება“, „დაწვენა“, „დაძინება“ და ა. შ.

ტექსტიდან გამომდინარე, მოყვანილი მაგალითი მოწმობს იმას, რომ

- I. თამაშისას ბავშვი გარკვეულ საგნებს სხვა საგნების აღსანიშნად იყენებს.
- II. თამაშისას არსებითია აღმნიშვნელსა და მის ობიექტს შორის გარეგნული მსგავსება.
- III. თამაშისას არსებითია აღმნიშვნელი საგნის (ანუ თამაშში გამოყენებული საგნის) ფუნქციური დატვირთვა.

ჩამოთვლილთაგან მართებულია:

- (ა) მხოლოდ I
- (ბ) მხოლოდ II
- (გ) მხოლოდ III
- (დ) მხოლოდ I და III
- (ე) მხოლოდ II და III

ტექსტი B	შეკითხვა 9	შეკითხვა 10	შეკითხვა 11	შეკითხვა 12	შეკითხვა 13	შეკითხვა 14
----------	------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------

12. ჩამოთვლილ განმარტებათაგან რომელი არ არის მართებული?

- (ა) ნახატების მნემოტექნიკურ ნიშნებად გამოყენება გულისხმობს ამა თუ იმ ფრაზის გასახსენებლად გარკვეული ჩანახატის გაკეთებას.
- (ბ) პირველი რიგის სიმბოლიზმი გულისხმობს საგნის აღნიშვნას გარკვეული ნიშნით.
- (გ) მეორე რიგის სიმბოლიზმი ნიშნავს ისეთი სიმბოლოების გამოყენებას, რომლებიც საგნის აღმნიშვნელ სიტყვებს გამოხატავენ.
- (დ) საგნის ფუნქციური დატვირთვა გულისხმობს იმას, რომ საგანი იმ ობიექტის მსგავსად შეიძლება იყოს გამოყენებული, რომელსაც ის აღნიშნავს.
- (ე) ფრაზა ტექსტიდან – ბავშვის ნახატები უფრო „მეტყველება“, ვიდრე გამოსახულება – ნიშნავს, რომ ბავშვი ხატვისას ზუსტად ასახავს მის გარშემო არსებულ საგნებს.

ტექსტი B	შეკითხვა 9	შეკითხვა 10	შეკითხვა 11	შეკითხვა 12	შეკითხვა 13	შეკითხვა 14
----------	------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------

13. რა თანამიმდევრობით გადის ბავშვი მოცემულ ეტაპებს წერითი მეტყველების ჩამოყალიბებისას?

- A. სიმბოლური ნიშნების მეტყველებასთან დაკავშირება
- B. წერის ტექნიკის ათვისება
- C. გრაფიკული ნიშნის სიმბოლური მნიშვნელობის აღმოჩენა
- D. ნიშნის იდეის გათავისება თამაშის დროს

(ა) A, C, D, B

(ბ) A, D, B, C

(გ) D, C, A, B

(დ) C, D, A, B

(ე) D, A, C, B

ტექსტი B	შეკითხვა 9	შეკითხვა 10	შეკითხვა 11	შეკითხვა 12	შეკითხვა 13	შეკითხვა 14
----------	------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------

14. ჩამოთვლილთაგან რომელი გამომდინარეობს ტექსტიდან?

- (ა) თამაშისას საგნის ფუნქციური დატვირთვა განპირობებულია აღმნიშვნელისა და მისი ობიექტის გარეგნული მსგავსებით.
- (ბ) ხატვის დაწყების პირველ ეტაპზე ბავშვი ხატავს იმას, რასაც ხედავს, და არა იმას, რაც იცის.
- (გ) 4-5 წლის ასაკში ბავშვი ხატვისას შემთხვევით გავლებულ ხაზებსა და საგნებს შორის მსგავსებას ვერ ხედავს.
- (დ) წერითი მეტყველების ჩამოყალიბებისას წერის ტექნიკის ათვისება უფრო მნიშვნელოვანი ეტაპია, ვიდრე ნიშნის სიმბოლური მნიშვნელობის აღმოჩენა.
- (ე) ხატვის საწყის ეტაპზე ბავშვის მიერ დახატულ სურათს სიმბოლური დატვირთვა არა აქვს.

ტექსტი B	შეკითხვა 9	შეკითხვა 10	შეკითხვა 11	შეკითხვა 12	შეკითხვა 13	შეკითხვა 14
----------	------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------

ტექსტი C

დიდი ხნის განმავლობაში წარმატების მიღწევის საფუძვლად, ძირითადად, მიჩნეული იყო ადამიანის გონებრივი შესაძლებლობები, რომელიც „ინტელექტის კოეფიციენტით“ – IQ-თი (*intelligence quotient*) – ფასდებოდა. ამასთანავე, მიიჩნევდნენ, რომ ემოციები აფერხებს ინფორმაციის გონებრივ, კოგნიტურ გადამუშავებას. თუმცა დღეისათვის ცნობილია, რომ ემოციების ადეკვატური მართვა ხელს უწყობს სააზროვნო პროცესებს და ყოველდღიური პრობლემების გადაჭრას, ასევე, არსებით როლს ასრულებს ფსიქოლოგიურ ადაპტაციაში. ეს მიდგომა დაკავშირებულია „ემოციური ინტელექტის“ – EQ-ს (*emotional intelligence quotient*) – ცნების ჩამოყალიბებასთან. არაერთი კვლევით დადასტურდა, რომ ემოციები მნიშვნელოვან როლს ასრულებს ადამიანის განვითარებასა და ცხოვრებისეულ წინსვლაში, წარმატების მიღწევაში.

ტერმინი „ემოციური ინტელექტი“ პირველად გასული საუკუნის 60-იან წლებში ბელდოკმა გამოიყენა. ამ ფენომენის მასშტაბური კვლევა კი 90-იან წლებში დაიწყო მაიერის ნაშრომის გამოქვეყნების შემდეგ. სავარაუდოდ, დარვინიც ემოციურ ინტელექტს გულისხმობდა, როცა გადარჩენისათვის აუცილებელ ადაპტაციის უნარზე წერდა 1872 წელს გამოცემულ წიგნში „ემოციების გამოხატვა ადამიანებთან და ცხოველებთან“.

მაიერის განმარტებით, ემოციური ინტელექტი არის საკუთარი და სხვების ემოციების ამოცნობისა და მართვის უნარი პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტისა და გარემოსთან უკეთ შეგუების მიზნით. სტიინის მიხედვით, ემოციური ინტელექტი ასევე გულისხმობს სტრესის დამლევსა და სხვებისათვის მომხიბლავ, მისაღებ ადამიანად ყოფნის უნარს.

ემოციური ინტელექტის ფენომენის ასახსნელად მეცნიერები სხვადასხვა თეორიულ მოდელს მიმართავენ. მაიერის თანახმად, ემოციური ინტელექტის შემთხვევაში აზროვნება ოპერირებს ემოციური შინაარსის ინფორმაციით, რის საფუძველზეც ხდება გადაწყვეტილების მიღება და მოქმედება. ამით განსხვავდება ის კოგნიტური ინტელექტისაგან, რომელიც სააზროვნო პროცესების წარმართვისას ფაქტებსა და მოვლენებს ეფუძნება. მისი აზრით, ემოციური და კოგნიტური ინტელექტი ადამიანის თანდაყოლილი მოცემულობაა, რომლის განვითარება მხოლოდ გარკვეული ხარისხითაა შესაძლებელი. EQ რამდენიმე კომპონენტს მოიცავს. ესენია:

- საკუთარი და სხვების ემოციების აღქმისა და ამოცნობის უნარი.
- ემოციების გამოყენების უნარი აზროვნების სტიმულირებისა და მოტივაციის შესაქმნელად.
- ემოციების ანალიზის უნარი, რომელიც გულისხმობს ემოციების წარმოქმნის მიზეზებისა და ტრანსფორმაციის გააზრებას, ემოციებსა და აზრებს შორის მიმართების დადგენას, კომპლექსური ემოციური მდგომარეობების წვდომას.
- საკუთარი და სხვების ემოციების მართვის უნარი კონკრეტული მიზნის მისაღწევად, ასევე, მოცემულ სიტუაციასთან შესაგუებლად.

ტექსტის გაგრძელება ->

ტექსტი C	შეკითხვა 15	შეკითხვა 16	შეკითხვა 17	შეკითხვა 18	შეკითხვა 19	შეკითხვა 20	შეკითხვა 21
----------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------

გოულმენის მოდელის მიხედვით, ემოციური ინტელექტი არის შეძენილი, ანუ დასწავლილი პიროვნული და სოციალური უნარების – კომპეტენციების – ნაკრები. ემოციური ინტელექტი ინდივიდმა მთელი ცხოვრების განმავლობაში უნდა განავითაროს, რადგან მას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ადამიანის აკადემიურ თუ პროფესიულ წინსვლაში. გოულმენის თანახმად, პროფესიული წარმატების მიღწევა 85%-ით EQ-ს დამსახურებაა და მხოლოდ 15 %-ია IQ-ს წილი. EQ აუცილებელ, თუმცა არასაკმარის პირობას წარმოადგენს წარმატების მისაღწევად. ამ მოდელის მიხედვით, EQ რამდენიმე კომპონენტს მოიცავს. ესენია:

- თვითშემეცნება – საკუთარი ემოციების, მოტივაციის, მიზნებისა და ღირებულებების გაგების უნარი.
- თვითრეგულაცია – საკუთარი ემოციებისა და იმპულსების კონტროლი.
- მოტივაცია – მიზნისაკენ სწრაფვის უნარი.
- ემპათია – სხვების განცდების გათვალისწინება, თანაგანცდის უნარი.
- სოციალური უნარები – სხვა ადამიანებთან ურთიერთობის დამყარება, მათზე გავლენის მოხდენა, გარემოსთან ადაპტაცია.

ბარონის სოციალურ-ემოციური ინტელექტის მოდელში გათვალისწინებულია 15 ემოციური და სოციალური უნარი, რომლებიც ხელს უწყობს ადამიანის ფსიქიკურ „კარგად-ყოფნას“ (Well-being). ეს უნარები გაერთიანებულია ხუთ ძირითად კატეგორიაში:

- საკუთარი ემოციების გაგებისა და გამოხატვის უნარი.
- სხვების ემოციური მდგომარეობის გაგების უნარი.
- ემოციების მართვისა და კონტროლის უნარი.
- სიტუაციის მართვის, ადაპტაციის, პიროვნული და პიროვნებათმორისი პრობლემების მოგვარების უნარი.
- თვითმოტივირების უნარი, ცხოვრებით კმაყოფილება, ოპტიმიზმი.

ფსიქოლოგები მიიჩნევენ, რომ ემოციური ინტელექტის კვლევამ გააფართოვა მეცნიერული წარმოდგენა „ჭკვიანი ადამიანის“ შესახებ, თუმცა მათ ასევე შეისწავლეს EQ-ს მიმართება ფსიქიკურ პრობლემებთან და აღმოაჩინეს, რომ EQ-ის დაბალი დონე იწვევს დეზადაპტაციას, EQ-ის დარღვევები კი კავშირშია ისეთ პრობლემებთან და ნევროტულ მდგომარეობებთან, როგორებიცაა ალკოჰოლიზმი, ნარკომანია, დეპრესია, შფოთვა და ა. შ.

ტექსტი C	შეკითხვა 15	შეკითხვა 16	შეკითხვა 17	შეკითხვა 18	შეკითხვა 19	შეკითხვა 20	შეკითხვა 21
----------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------

15. ტექსტის მიხედვით, ჩამოთვლილთაგან რომელია მართებული?

- (ა) ტერმინი „ემოციური ინტელექტი“ განმარტებულია დარვინის წიგნში „ემოციების გამოხატვა ადამიანებთან და ცხოველებთან“.
- (ბ) ემოციური ინტელექტის შესწავლამ ხელი შეუწყო ახლებური თვალთახედვის გაჩენას „ჭკვიანი ადამიანის“ შესახებ.
- (გ) ემოციური ინტელექტი მხოლოდ ცხოვრებისეული წარმატების მიღწევის საფუძველად არის მიჩნეული, ხოლო ფსიქიკური პრობლემების ასახსნელად ის არ გამოიყენება.
- (დ) ტერმინი „ემოციური ინტელექტი“ მეცნიერებმა პირველად გასული საუკუნის 90-იან წლებში გამოიყენეს.
- (ე) წარმოდგენილი EQ-ს მოდელები ერთმანეთის იდენტურია.

16. მკვლევრები თანხმდებიან, რომ:

- (ა) მაღალი IQ წარმატების მთავარი პირობაა.
- (ბ) EQ თანდაყოლილი უნარია.
- (გ) მაღალი EQ გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი პირობაა.
- (დ) EQ-ს ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტია საკუთარი ემოციებისა და იმპულსების კონტროლი.
- (ე) მაღალი კოგნიტური ინტელექტი ხელს უწყობს ემოციური ინტელექტის ჩამოყალიბებას.

ტექსტი C	შეკითხვა 15	შეკითხვა 16	შეკითხვა 17	შეკითხვა 18	შეკითხვა 19	შეკითხვა 20	შეკითხვა 21
----------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------

17. ტექსტის მიხედვით, რომელი უნარი არ არის დაკავშირებული ემოციურ ინტელექტთან?

- (ა) სტრესის დაძლევა.
- (ბ) ემოციების წარმართვა შედეგის მისაღწევად.
- (გ) სააზროვნო პროცესების წარმართვა ემოციური შინაარსის ინფორმაციის გამოყენებით.
- (დ) ინფორმაციის კოგნიტური გადამუშავება, რომელიც ფაქტებითა და მოვლენებით ოპერირებას გულისხმობს.
- (ე) რთული ემოციური მდგომარეობების ანალიზი.

ტექსტი C	შეკითხვა 15	შეკითხვა 16	შეკითხვა 17	შეკითხვა 18	შეკითხვა 19	შეკითხვა 20	შეკითხვა 21
----------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------

18. EQ-ს შესახებ გამოთქმულ მოსაზრებათაგან რომელია მართებული?

- (ა) მაიერის მიხედვით, EQ-ს განვითარება შეუძლებელია, ხოლო ბარონის მიხედვით, ის ადამიანის ცხოვრების მანძილზე იხვეწება.
- (ბ) გოულმენის თანახმად, EQ-ში მთავარია პიროვნული კომპეტენციები, ბარონის მიხედვით კი – სოციალური.
- (გ) სტეინის მიხედვით, EQ მხოლოდ სტრესის დაძლევისა და სხვებისათვის მისაღებ ადამიანად ყოფნის უნარს გულისხმობს.
- (დ) მაიერის მიხედვით, EQ წარმოადგენს თანდაყოლილ უნარს, გოულმენის მიხედვით კი – შეძენილ კომპეტენციას.
- (ე) მაიერი ხაზს უსვამს ინდივიდის EQ-ს როლს მიზნის მიღწევაში, ხოლო გოულმენის თანახმად, მიზნის მიღწევა მთლიანად IQ-ს დამსახურებაა.

ტექსტი C	შეკითხვა 15	შეკითხვა 16	შეკითხვა 17	შეკითხვა 18	შეკითხვა 19	შეკითხვა 20	შეკითხვა 21
----------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------

19. ჩამოთვლილთაგან რომელი დასტურდება ტექსტში?

- (ა) კვლევების საფუძველზე ფსიქოლოგებმა გადააფასეს ემოციების როლი ადამიანის განვითარებასა და ცხოვრებისეული წარმატებების მიღწევაში.
- (ბ) მკვლევართა მოსაზრებით, ადამიანის ფსიქიკური „კარგად-ყოფნისათვის“ კოგნიტური ინტელექტი საკმარის პირობას წარმოადგენს.
- (გ) სოციალური უნარები ემოციური და კოგნიტური ინტელექტის კომპონენტებია.
- (დ) ემპათია სხვების შეხედულებათა გათვალისწინების უნარია.
- (ე) ტერმინები „ემოციური ინტელექტი“ და „კოგნიტური ინტელექტი“ მსგავსი ფსიქიკური უნარების აღსანიშნავად გამოიყენება.

ტექსტი C	შეკითხვა 15	შეკითხვა 16	შეკითხვა 17	შეკითხვა 18	შეკითხვა 19	შეკითხვა 20	შეკითხვა 21
----------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------

20. რა არის ავტორის მთავარი მიზანი?

- (ა) ემოციური ინტელექტის თეორიული მოდელების ერთმანეთთან შედარება.
- (ბ) ემოციურ და კოგნიტურ ინტელექტთა მიმართების განხილვა.
- (გ) ცნების – ემოციური ინტელექტი – ჩამოყალიბების ისტორიის გაცნობა.
- (დ) ემოციური ინტელექტის რაობის წარმოჩენა.
- (ე) ემოციური ინტელექტის კომპონენტების გაანალიზება.

21. ჩამოთვლილთაგან რომელი მოსაზრება არ გამომდინარეობს ტექსტიდან?

- (ა) ადამიანს ემოციების გამოყენება შეუძლია საკუთარი სააზროვნო პროცესების გასააქტიურებლად და მოტივაციის შესაქმნელად.
- (ბ) ზოგიერთი ფსიქიკური პრობლემა ემოციური ინტელექტის დარღვევებს უკავშირდება.
- (გ) ემოციური ინტელექტის განვითარებაზე ზრუნვა მნიშვნელოვანი ფაქტორია პროფესიული და აკადემიური წარმატების მისაღწევად.
- (დ) ემოციების ადეკვატური გადამუშავება ცხოვრებისეული წარმატებების მნიშვნელოვანი წინაპირობაა.
- (ე) კოგნიტური ინტელექტი მთავარ როლს ასრულებს ადამიანის ფსიქოლოგიურ ადაპტაციაში.

ტექსტი C	შეკითხვა 15	შეკითხვა 16	შეკითხვა 17	შეკითხვა 18	შეკითხვა 19	შეკითხვა 20	შეკითხვა 21
----------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------

ტესტის დასასრული

ტესტი A

ტესტი B

ტესტი C